

ხათუნა მელია
ნორა (ირმა) კოქია
მარინა მანჯგალაძე

ფასციოლოზი

თბილისი
2023

ხათუნა მელია
ნორა (ირმა) კოკია
მარინა მანჯგალაძე

ფასციოლოზი

თბილისი
2023

უაკ (UDC) 615.849
მ 532

წინამდებარე ნაშრომი “ფასციოლოზი” – მოიცავს ფასციოლოზის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას; საქართველოში ადამიანის ფასციოლოზის ეპიდემიოლოგიას; დაავადების ეტიოპათოგენეზს; სიმპტომებს; დაავადების ტიპური და გართულებული ფორმების, ასევე რეციდივის შემთხვევაში ულტრაბგერითი კვლევის შესაძლებლობებს. მონოგრაფიაში ასევე ფართოდაა გაშუქებული ფასციოლოზის დიაგნოსტიკის დაგვიანებულ შემთხვევათა მიზეზები და მკურნალობის ხარვეზები.

თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურაში ფასციოლოზის დროს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების რადიოლოგიური სემიოტიკა მწირედაა წარმოდგენილი. ჩვენ შევეცადეთ, საკმაოდ დიდ კლინიკურ მასალაზე დაყრდნობით, შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ღვიძლისა და ბილიარული ტრაქტის ულტრაბგერითი ცვლილებების დინამიკა.

მონოგრაფია წარმოდგენილია ქართულ ენაზე; აღნიშნული ნაშრომის მოკლე შინაარსი შესრულებულია ინგლისურ ენაზე. სახელმძღვანელო ილუსტრირებულია შესატყვისი ექოგრაფებით, სურათებით, ცხრილებით, დიაგრამებით და რუკებით.

რედაქტორი: მედიცინის აკადემიური დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა
დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი
ელენე პაჭკორია

რეცენზენტები: მედიცინის დოქტორი,
ნინო იაშვილი

შინაარსი

შესავალი	4
I-პრობლემის აქტუალობა.....	5
II-ფასციოლოზის მოკლე ისტორიული მიმოხილვა	6
III-ფასციოლოზის ეპიდემიოლოგია	8
IV-ფასციოლოზის ეპიდემიოლოგია საქართველოში	12
V-ფასციოლოზის ეტიოლოგია	16
VI-ფასციოლოზის პათოგენები	22
VII-ფასციოლოზის იმუნოლოგიური თავისებურებანი	25
VIII-ფასციოლოზის კლინიკური სურათი	26
IX-გართულებები ფასციოლოზის დროს.....	35
X-დიფერენციალური დიაგნოზი	36
XI-შეცდომები ფასციოლოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.....	43
XII-ფასციოლოზის რეციდივი	44
XIII-ფასციოლოზის დიაგნოსტიკა.....	46
* პარენქიმული ორგანოებისა და ბილიალური ტრაქტის რადიოლოგიური კვლევის მეთოდები.....	48
* ჰემატოლოგიური თავისებურებანი ფასციოლოზის დროს.....	60
XIV-ფასციოლოზის მკურნალობა.....	61
XV-ფასციოლოზის პროფილაქტიკა	62
XVI-Fascioliasis.....	65

შესავალი

ფასციოლოზი მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ზოონოზია. დაავადების გამომწვევია Fasciola-ს (Trematoda: Fasciolidae) გვარის სამი ჰელმინტი: *Fasciola hepatica*, *Fasciola gigantica* და *Fasciola buski*, რომლებიც იწვევენ წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ასევე ადამიანის დაავადებას.


საქართველოში დაავადების გამომწვევთა შორის ძირითადად პლევარილებს *Fasciola hepatica*. *Fasciola gigantica* შედარებით იშვიათია, ხოლო *Fasciola Buski* მხოლოდ შემოტანილი შემთხვევების სახით გვხვდება.

მსოფლიოში ბოლო წლებში აღინიშნა ფასციოლოზის გავრცელების და დაინვაზიების მაღალი მაჩვენებელი, რის გამოც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ დაიწყო ადამიანის ფასციოლოზის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება, რაც გულისხმობს: დაავადების ეპიდემიოლოგიის შესწავლას და ფასციოლოზის მკურნალობის დონაციას ტრიკლაზენდაზოლით.

პრობლემის აქტუალობა

დღეისათვის ფასციოლოზი შედის ადამიანის უმნიშვნელოვანეს პარაზიტულ დაავადებათა ჩამონათვალში. 1990 წლამდე დაავადება რეგისტრირებული იყო 51 ქვეყანაში. ამჟამად, ამ ქვეყნების რიცხვი 81-მდე გაიზარდა და ფასციოლოზი ჯანმრთელობისა და ვეტერინარული სექტორის მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა. {1,2,63,64}. (რუკა 1). ადამიანის დაინვაზიების შემთხვევები გაზიარდა ხუთივე კონტინენტზე, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე მოდის. ბოლო წლების მონაცემებით, ფასციოლოზით დაინვაზიებულია 17 მლნ-მდე ადამიანი. აღნიშნული ჰელმინთოზის გავრცელების ზუსტი მიზეზი უცნობია, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოსახლეობაში ფასციოლოზის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი არ არის დაკავშირებული იმ გეოგრაფიულ რეგიონებთან, სადაც აღნიშნული დაავადება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ვეტერინარიის სფეროში. {1,2,3,4,40,41,63,64}.

ფასციოლოზის გავრცელების კერები



რუკა 1.

ფასციოლოზის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ევროპაში ფასციოლოზის პირველი შემთხვევები ემთხვევა ცხოველების მოშინაურებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერიოდს. ეს არის ქვის ხანის პერიოდი - მეზოლითის ბოლო და ნეოლითი. {7,9,10,15}.

პირველი აკადემიური ცნობები ფასციოლოზის შესახებ თავიანთ ნაშრომებში მოგვაწოდეს მარჩელო მალპიგმა და გოტფრიდ ბიდლმა (1698 წ.) {15,16,24}. ადამიანის ფასციოლოზის პირველი შემთხვევა კი პეტრ სიმონ პალლასმა აღწერა (1760 წ.). {9,10,15}, რომელმაც ქალაქ ბერლინის პროზექტურაში, გვამის ღვიძლში ნახა ფასციოლები; შემდგომში ფრანკმა, მილანში, 8 წლის გოგონას გვამის გაკვეთის დროს აღმოაჩინა 5 ცალი ფასციოლა. კ.ი.სკრიაბინისა და რ.ს.შულცის ცნობით {9,11,12,15}, 1929 წლისათვის მსოფლიოში აღწერილია ასზე მეტი ადამიანის ფასციოლოზის შემთხვევა. ფასციოლოზის პირველი შემთხვევები გვამების გაკვეთის დროს გვხვდებოდა, შემდგომში ფასციოლოზი დიაგნოსტირებული იქნა ცოცხალ ადამიანებში. ამ უკანასკნელს ხელი შეუწყო კლინიკებში დუოდენური ზონდის ფართოდ გამოყენებამ და კოპროლოგიურმა ოვოსკოპიამ. {13,14,17,22,27}.

ფასციოლების ბიოლოგია შეისწავლა გერმანელმა მეცნიერმა, ზოოლოგ-პარაზიტოლოგმა რუდოლფ ლეიკარტმა {5,6,31,32}. 1922 წელს ზაიფერტმა გამოთქვა აზრი ფასციოლოზის ემეტინით მკურნალობის მიზანშეწონილებისა, რაც კლინიკური კვლევების საფუძველზე დამტკიცეს საბჭოთა ექიმებმა ა.პ.ვასილევმა (1927 წ.), ო.ნ.პავლოვმა (1927 წ.), გ.მ.სემენოვმა და დ.ა.კოგანმა (1927 წ.). {26,33}.

საქართველოში ცხოველების ფასციოლოზი ძველთაგანვე ცნობილია და მას “პეპელა ჭიით” გამოწვეულ დაავადებას უწოდებენ. ადამიანის ფასციოლოზის პირველი შემთხვევა 1927 წელს აღწერა ა.ჟღენტმა {22}, რომელმაც პარაზიტის არსებობა დაადასტურა ნაღვლის პორციაში პარაზიტის კვერცხების იდენტიფიცირებით. შემთხვევა დემონსტრირებულ იქნა საქართველოს თერაპიული საზოგადოების სხდომაზე. შემდგომ ამ დაავადების შემთხვევები

აღწერეს წ.ყარიბოვმა(1928), ს.ბერულავამ (1936), შ.გუგუშაშვილმა და ნ.კამალოვმა (1937), ნ.მეგრელიშვილმა (1939), ნ.მანველიძემ (1949), თ.თევდორაძემ, ი.რცხილაძემ, მ.მიქაძემ და კ.ძამამიამ (1941), მ.მაისურაძემ (1946), თ.ჩიხრაძემ (1947), გ. სმირნოვმა, ა.სულაკაძემ და ნ.კალანდარიშვილმა (1952), ი.თოფურიამ და ო.ზენაიშვილმა (1954), გ.ღლონტმა(1955). თ.წუწუნავამ(1956), მ.მანჯგალაძემ (1995-97). {8,12,18,19, 20,21,22,23,28,29,30,}

საქართველოში ადამიანის ფასციოლოზის კლინიკური და ეპიდემიოლოგიური საკითხების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მ.გიგიტაშვილს. მას ამ საკითხზე 46 შრომა და ერთი მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული.

ფასციოლოზის ეპიდემიოლოგია

Fasciola-ს გვარის პარაზიტები მასიურად გავრცელებულია ბალახის მჭამელ შინაურ ცხოველებში. ამ ჰელმინტს კოლონიზაციის დიდი პოტენციალისა და დეფინიტურ მასპინძელთა მრავალფეროვნების გამო აქვს გავრცელების ფართო შესაძლებლობა. ადამიანის (ფაკულტატურ-დეფინიტური პატრონი) დაინვაზირება ხდება მეცხოველეობის რეგიონებში ბუნებრივ ფაქტორებთან (წყალთან) კონტაქტის გამო. {47,63,64,65,66,82,118}.

Fasciola hepatica გვხვდება ყველა კონტინენტზე, (რუკა1) განსაკუთრებით ზომიერი კლიმატის არეალში, სადაც კარგად არის განვითარებული მეცხოველეობის დარგები, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა. ინფექცია ენდემურია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში (განსაკუთრებით ბოლივიასა და პერუში), ევროპაში (განსაკუთრებით პორტუგალიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და თურქეთში), აზიაში (განსაკუთრებით ჩინეთში, ვიეტნამში, ტაივანში, ტაილანდში), აფრიკაში (-ეგვიპტეში) და ახლო აღმოსავლეთში. სპორადიული შემთხვევები აღწერილია აშშ-ში, ავსტრალიაში. {1,2,63,64,65,66,67,69,118}.

Fasciola gigantica– შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული და ძირითადად გვხვდება ტროპიკულ ქვეყნებში, განსაკუთრებით აფრიკაში, ჰავაიზე და სამხრეთ აზიაში {1,2,63,64,65,66, 67,69}.

Fasciola buski – ით გამოწვეული ფასციოლოზის ენდემური კერებია ჩინეთი, ინდოეთი, მალაზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ტაივანი, განსაკუთრებით ის ტერიტორია, სადაც განვითარებულია მეღორეობა. ამ ტერიტორიაზე პაციენტთა ინფიცირება აღწევს 10 მილიონზე მეტს. {69,82,120}.

ჰიპერენდემურ რეგიონებს შორის ფასციოლოზით დაინვაზირების მაღალი მაჩვენებლები გამოვლენილია ჩრდილოეთ ბოლივიის ალტიპლანოში, სადაც კოპროლოგიური და სეროლოგიური გამოკვლევების ექსტენსიურობის მაჩვენებელმა შეადგინა 72 - 100%. ასაკობრივ ჯგუფებს შორის დაინვაზირების პიკი მოდის 9-11 წლის, 21-

40წლისა და 40წელზე უფროს ასაკზე. აღნიშნული დაავადების მაღალ ენდემურ რეგიონებში უფროსი ასაკის მოსახლეობა ფასციოლოზური ინვაზიის მტარებელია. მოსახლეობის ეს კატეგორია უპირატესად დაავადებულია ფასციოლოზის ქრონიკული ფორმით, რომელიც პერიოდულად მწვავე ხასიათს იძენს განმეორებითი დაინვაზიების გამო; რაც შეეხება ბავშვებს, დაინვაზიების მაღალი რისკის ზონაში ცხოვრება განსაზღვრავს მიზეზს, როგორც პირველადი დაავადების, ასევე დაავადების რეინვაზიისა.

{1,2,46,55,61,67,68,67,81,113,115,118,129}


ფასციოლოზის ენდემურ კერებში ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: გარემოს თავისებურებები, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, დემოგრაფიული ტენდენციები, კვების რაციონი, ეროვნული ტრადიციები, რელიგიური თავისებურებები, შინაური და გარეული ძუძუმწოვარი ცხოველებისა და ფასციოლოზების შუალედური მასპინძლების - Lymnecidae-ს ოჯახის, მტკნარი წყლის მოლუსკების მრავალი სახეობა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროების ზონალობა, სიმაღლე ზღვის დონიდან – 27 მეტრიდან (კასპიის ზღვა) 4200 მეტრამდე (ანდებში განლაგებული ქვეყნები), კლიმატი, სეზონი, ტემპერატურის მუდმივობა, ნალექების რაოდენობა, წყლის ყოველწლიური ჯამური აორთქლება, გვალვა, ტენიანობა. ლანდშაფტის თვალსაზრისით, ასეთი რეგიონები მოიცავენ ზეგანს, ვაკეს, ველებს, კუნძულებს, მატერიკებს, ბუნებრივი და ხელოვნური ირიგაციის სისტემებს, ტბებს, დიდ მდინარებს, მცირე ნაკადულებს, მუდმივ და დროებით წყალსატევებს. სავარაუდოდ, ყველა კონტინენტზე, ფასციოლოზის ჰიპო- და ჰიპერენდემურ ზონებში გარემოს მრავალფეროვნება განაპირობებს დაავადების მექანიზმის ძალზე ფართო სპექტრს და ეპიდემიოლოგიურ სურათს **{1,2,3,61,63,64, 65,80,82,113,117,118,133,135,136}**.

ფასციოლოზის დაავადების წყარო, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არის ბალახისმჭამელი შინაური ცხოველები (ობლიგანტურ-დეფინიტური პატრონი), ამავდროულად, ისინი არიან დაავადების

რეზერვუარიც. ცხვარი - ყველაზე მნიშვნელოვანი დეფინიტური მასპინძელია Fasciola hepatica - სათვის, თუმცა თხა, კამეჩი, ცხენი, ღორი, აქლემი, ირემი და კურდღელი, ასევე შესაძლებელია იყვნენ დეფინიტური მასპინძელი. Limnaeidae-ს ოჯახის წარმომადგენელი – წყლის ლოკოკინა გვევლინება პარაზიტისათვის შუალედურ მასპინძელად. ფასციოლოზის განვითარების ციკლში ადამიანი შემთხვევითი წარმომადგენელია. {9,10,15, 63,64,118}.

ფასციოლოზის გადაცემის ფაქტორებია:

წყალი - სასმელად გამოყენებული ღია წყალსატევებიდან ან/ და **წყალმცენარე** - გამოყენებული საკვებად. მტკნარი წყლის მცენარეებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა წყლის სალათი, პიტნა, ოხრახუმი. ადამიანის დაინფიცირება ძირითადად ხდება საკვებად ჰიგიენურად არასაკმარისად დამუშავებული ახალი მწვანილის, ბოსტნეულის, წყალმცენარეების და ასევე კონტამინირებული წყლის სასმელად გამოყენება. ადამიანისა და ცხოველის ავადობის მაჩვენებელი მატულობს ჭარბნალექიან წლებში, მაშინ როდესაც ლოკოკინების რაოდენობაც ბუნებრივად მატულობს. {5, 6,7,24,31,32,42,43,45,50,118, 136}.




სქემა 1. ფასციოლას განვითარების ციკლი

ფასციოლოზის 30 შემთხვევა. {10,14,19,20,22}. 1960 წლიდან 1972 წლის ჩათვლით კი გამოვლენილი იყო დაავადების 137 შემთხვევა. {3,16,18,23,27}. 1973 წლიდან 1997 წლამდე ადამიანის ფასციოლოზის ერთეული სპორადიული შემთხვევები აღირიცხებოდა, იშვიათად კი ოჯახური შემთხვევების სახით გვევლინებოდა. {4,8,23,147}. 1997 წლიდან დაიწყო დაავადების სარწმუნო მატება. {8,147}. 2006 და 2017 წლებში დაავადების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (77 და 96 შემთხვევა შესაბამისად) (იხ. ცხრილი1). ფასციოლით დაინვაზიებულ პაციენტთა შორის დაავადების შემთხვევათა 32% ქალაქ თბილისში დაფიქსირდა. ჩვენი ანალიზის საფუძველზე, დადგენილ იქნა, რომ საქართველოში ფასციოლოზი ძირითადად გავრცელებულია მოსახლეობის მოზრდილ პოპულაციაში, რაც შეადგენს დაავადებული მოსახლეობის 79 % (დიაგრამა 1). რაც შეეხება სქესობრივ ფაქტორს, ფასციოლოზი თითქმის ერთნაირი სიხშირით გვხვდება როგორც ქალთა, ასე მამაკაცთა შორის. (იხ. დიაგრამა2).


ფასციოლოზის შემთხვევები საქართველოში 1927 -2017 წწ

ფასციოლოზის შემთხვევები საქართველოში 1927 - 2017 წწ

Distribution of fasciolosis in Georgian 1927 - 2017 y



**ფასციოლოზის შემთხვევების
ასაკობრივი განაწილება
საქართველოში**



დიაგრამა 1

**ფასციოლოზის შემთხვევების
გენდერული მაჩვენებელი
საქართველოში**




დიაგრამა 2

ფასციოლოზის ეტიოლოგია:

დაავადების გამომწვევია Fasciola-ს (Trematoda: Fasciolidae) გვარის სამი ჰელმინთი: Fasciola hepatica, Fasciola gigantica და Fasciola Buski. ისინი მიეკუთვნებიან მწოველი ჭიების-ტრემატოდების კლასს. მასობრივად გავრცელებულნი არიან ბალახის მჭამელ შინაურ პირუტყვში. ადამიანი ავად ხდება მეცხოველეობის რეგიონებში ბუნებრივ ფაქტორებთან (წყალთან) კონტაქტის ან საკვებად მწვანილის გამოყენების შედეგად. დაავადება ზოონოზია. {5,24,32, 40, 41,43,52,54,70,74,76,78,125,128}

Fasciola hepatica, Fasciola gigantica (სურათი 1) ჰერმაფროდიტებია, მხოლოდ სიდიდითა და სხეულის ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შინაგანი სტრუქტურის მხრივ კი უმნიშვნელო განსხვავებაა.



სურათი 1

სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 3-5 წელიწადია. Fasciola hepatica (სურათი 1,2,3,4,9) პარაზიტობს ადამიანის, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, აგრეთვე ღორის, ვირის, აქლემის, ირმის და მღრნელების ორგანიზმში. პარაზიტი ფოთლისებური ფორმისაა, მისი სიგრძე 20-30-მმ-ია. (იხ. სურათი 1,2,3,4,5,6,9) კუტიკულა ქაცვითაა დაფარული. სხეულის

წინა ნაწილში, ერთმანეთთან ახლოს, ორი მისაწოვარია: პირის მისაწოვარის დიამეტრი 1 მმ-ია, მუცლისა—1,5 მმ, პირის მისაწოვარი გადადის ხახაში. იქვეა დატოტიანებული ნაწლავის დასაწყისი, სასქესო ბურასა და სასქესო ხვრელები. საყვითრეების მტევნები

უხვადაა მოფენილი პარაზიტის გვერდით კიდეებზე. პარაზიტის სხეულის პირველი და მეორე-მესამედის საზღვარზე ყვითრის ჯირკვლების სადინრები ემჩნევა, რომლებიც გარდიგარდმო მიემართება სხეულს და პარაზიტის შუა ხაზზე წარმოშობს პატარა გაგანიერებას – ყვითრის რეზერვუარს. პარაზიტის შუა ნაწილში განთავსებული საყვითრე არხები სხეულს ჰყოფს ორ ნაწილად (წინა და უკანა). უკანა წილში ერთმანეთის მიყოლებით სათესლეებია განლაგებული. საშვილოსნოს უკან მოთავსებულია ტოტისმაგვარი ფორმის საკვერცხე. ნაწლავის გაორკაპებისა და მუცლის მისაწოვარის ცენტრს შორის ოვალური სასქესო ბურსაა მოთავსებული. ამ ნაპრალიდან რკალისებურად მოღუნული ცირუსი გამოდის. საყვითრე რეზერვუართან მდებარეობს მელისის სხეულაკი. საშვილოსნოს მარყუჟები ოვალური ფორმის, მუქი ყვითელი ფერის გარსიანი და ერთპოლუსზე თავსარქველიანი კვერცხებითაა ამოვსებული. კვერცხი 0,150-0,190 მმ. სიგრძისა და 0,070-0,90 მმ. {5,24,31,32,127,128,136}.




Fasciola hepatica

სურათი 2.




Fasciola hepatica

სურათი 3.




Fasciola gigantica

სურათი 4.



FasciolaBuski

სურათი 5.



სურათი 6.

Fasciola gigantica - გიგანტური ორპირა (სურათი1.4) – ფასციოლების ოჯახის მეორე წარმომადგენელია, როგორც ავლნიშნით, იგი Fasciola hepatica-საგან მხოლოდ სიდიდითა და სხეულის ფორმით განსხვავდება. მისი სიგრძე 50-75 მმ-ია, სიგანე – 9-12 მმ. გვერდითი კიდეები თითქმის პარალელურია. პირის მისაწოვრის დიამეტრიც 1,0-1,2 მმ-ია, მუცლისა – 1,7 მმ. კვერცხისსიგრძე 0,150-0,190 მმ-ია, სიგანე – 0,075 – 0,090 მმ.

Fasciola gigantica ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ორგანიზმში პარაზიტობს. ადამიანში აღწერილია მისი ერთეული შემთხვევები. ის გვხვდება ამავე ადგილებში, სადაც *Fasciola hepatica* – არის გავრცელებული. {5,24,31,32,125,127,128}.

Fasciola Buski - (სურათი 5,7) – ერთ-ერთი უდიდესი ტრემატოდა. მას განიხილავენ როგორც ნაწლავურ ჭიას, რომელსაც აქვს ბრტყელი ფოთლის ფორმა, დაბაწრული ტალღოვანი ზედაპირი, ცუდად განვითარებული პირისა და გვერდითი მისაწოვრები. მოწიფული პარაზიტის სიგრძე 20-75 მმ-ია სიგანე - 8-20 მმ. ის ყოველდღე დებს 25000 კვერცხს, რომლის სიგრძე ზომით 130- 160 μმ. და სიგანე 70-90 μმ. ეს უკანასკნელი შეუძლებელია განასხვავო *Fasciola hepatica* კვერცხებისაგან. {5,24,31,32}. ეს პარაზიტი ძირითადად კუჭ-ნაწლავის ტრაქტს აზიანებს და საკმაოდ მძიმე მიმდინარეობა ახასიათებს.




Photograph showing ventral surface of *Fasciolopsis buski*.

FasciolaBuski

სურათი 7.

ფასციოლის ობლიგატურ-დეფინიტიური პატრონია ბალახის-მჭამელი წვრილფეხა და მსხვილფეხა ძუძუმწოვარი ცხოველები, ადამიანი კი ამ ჰელმინთისთვის შემთხვევითი პატრონია. მოლუსკი – მცირე ტბორულა (*Limneatrunkatula*) (იხ. სურათი8). წარმოადგენს პარაზიტის შუამავალ პატრონს, რომელიც მტკნარი წყლის წყალსატევში ბინადრობს {5,24,31,32,58,128}




მოლუსკი. მოლუსკების გვარის *auricularia*, *Radix peregra* ან *Galba (Limnea) truncatula*.

სურათი 8.

ფასციოლოზის პათოგენეზი

ცხოველის ან ადამიანის ფეკალიებთან ერთად გარემოში გამოყოფილი ფასციოლის კვერცხი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებლად უნდა მოხვდეს მტკნარი წყლის წყალსატევში, სადაც ის 4-6 კვირის შემდეგ გარდაიქმნება ლარვა-მირაციდად. განვითარების ამ სტადიაში მას შესწევს უნარი შეიჭრას შუამავალი პატრონის მოლუსკის ორგანიზმში. აქ ხდება პარაზიტის რთული ლარვული ფაზის განვითარება და გამრავლება, რომელიც მოლუსკის ორგანიზმიდან ე.წ. ცერკარიების გამოსვლით მთავრდება (სქემა1). ეს უკანასკნელნი თავისუფლად დაცურავენ წყალსატევებში და გარკვეული დროის შემდეგ ინცისტირდებიან {5,13,24,31,32,48,49,51,56,57,58}. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას მეტაკარიოციტები ექსცისტირდება თორმეტგოჯა ნაწლავში და ნაწლავის კედლის ლორწოვანიდან პერიტონიუმის ღრუსა და ღვიძლის პარენქიმის გავლით მიაღწევენ ნაღვლის სადინრებს, სადაც გარდაიქმნებიან ზრდასრულ ფორმებად. ამ პროცესს სჭირდება 3-4 თვე. ზრდასრული პარაზიტის სიცოცხლის ხანგრძლივობა ადამიანის ორგანიზმში საშუალოდ 9-13 წელს არ აღემატება (სქემა1). {5,13,24,31,32,48,49,51,56,57,58}. ღვიძლის ფასციოლოზის დროს ადამიანის ორგანიზმში პათოლოგიური პროცესი განპირობებულია როგორც პარაზიტის მექანიკური, ისე ტოქსიკური ზემოქმედებით. მექანიკური ზემოქმედება იწყება ფასციოლას ლარვების ქსოვილებში მიგრაციისას, ღვიძლისა და სანაღვლე გზებში მათი მოხვედრისთანავე, რასაც შედეგად მოსდევს პარენქიმული ქსოვილის დაზიანება. ზრდასრული ფასციოლები სახლდებიან ღვიძლის პერიფერიულ უწყრილეს განშტოებებში, სადაც ისინი იზრდებიან და საბოლოოდ აღწევენ ზრდასრულ ფორმას. ზოგიერთ ზრდასრულ პარაზიტს უნარი შესწევს უფრო დიდი დიამეტრის – პროქსიმალურად განლაგებულ სანაღვლე სადინარში ჩასახლდეს და უკვე აქ მოხვედრილი პარაზიტი თავის სხეულზე არსებული მისაწოვრე-

ბითა და წანაზარდებით შესამჩნევად აღიზიანებს და მექანიკურად აზიანებს სანაღვლე გზებს. დროთა განმავლობაში სანაღვლე სადინრები ფართოვდება და იქ იწყება ეპითელიუმის ადენომატოზური ქსოვილის განვითარება, რაც შემდგომში სანაღვლე გზებისა და სისხლძარღვების გარშემო შემაერთებელი ქსოვილის ჩანაცვლებით ვლინდება. {5,13,24,31,32,48,49,51,56,57,58}



Fasciola hepatica – ოპერაციული მასალა

სურათი 9.

ფასციოლის ლარვებისა და ზრდასრული პარაზიტების ცხოველმყოფელობის პროდუქტები წარმოადგენენ ალერგენებს, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზმის სენსიბილიზაციას, რაც ყველაზე ხშირად დაავადების მწვავე ფაზაში ვლინდება. ზრდასრული ფასციოლების ზემოქმედება სანაღვლე გზებსა და ნაღვლის ბუშტზე რეფლექტორულად იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების (კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის, კუჭუკანა ჯირკვლის)

ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას, პარაზიტების მიერ ორგანოთა და ქსოვილთა დაზიანება კი, ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეორადი ბაქტერიული ფლორის განვითარებისათვის. {5,13,17,24,31,32,33,48,49,51,56,57,58,72}. პარაზიტებით ინტენსიური დაინვაზიების შემთხვევაში დიდ მონაკვეთზე ნადგურდება სანაღვლე სადინრების ეპითელური ქსოვილი და ფასციოლები ღვიძლის პარენქიმაში შეიჭრებიან,რასაც შედეგად მოსდევს მცირე ზომის მრავალრიცხოვანი ანთებითი კერებისა და მიკროაბსცესების ჩამოყალიბება, რაშიც გარკვეული როლი მეორად ინფექციებს მიეწერება. პათოლოგიური პროცესი თანდათანობით ღრმავდება და დაზიანებული ღვიძლის ქსოვილის ნაცვლად შემაერთებული ქსოვილის ჩანაცვლება ხდება.

პარაზიტებით სანაღვლე გზების დახშობამ, ფასციოლოზის ზრდასრულ ფაზაში, შესაძლებელია გამოიწვიოს მექანიკური სიყვიითლე. {103,104,123,124}

ფასციოლოზის იმუნოლოგიური თავისებურებანი

ზოგიერთი იმუნოლოგის აზრით ფაკულტატურ-დეფინიტური პატრონის საპასუხო რეაქცია ფასციოლას გვარის ჰელმინთებზე, ემყარება ჰუმორალური და უჯრედული იმუნიტეტის ერთობრივ რთულ რეაქციებს. ლიმფოკინები, რომლებიც თავისუფლდებიან ანტიგენსპეციფიკური T – უჯრედებისაგან, ასტიმულირებენ ბოკალის მსგავს უჯრედებს, განახორციელებენ მათ პროლიფერაციას და სეკრეციას, რაც ხელს უწყობს ჰელმინთის ელიმინაციას. {7,25,71,85,86,87}. ნაწილი ავტორების აღნიშნავს, რომ ფაკულტატურ-დეფინიტური პატრონის იმუნური პასუხის არსებობა მტკიცდება ფასციოლას ექსპრეტორულ-სეკრეტორული პროდუქტების მიმართ ანტისხეულების არსებობითა და ღვიძლის ინფილტრატში T – ლიმფოციტებისა და პლაზმური უჯრედების დაფიქსირებით; მაგრამ საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არ არის გამოვლენილი თანდაყოლილი და დაავადების გადატანის შემდგომ შეძენილი იმუნური დაცვის არანაირი მაჩვენებელი, აგრეთვე პარაზიტის დაშლის არანაირი ნიშანი. {7,25,71,85,86,87}. რაც შეეხება რეინფიცირების შემთხვევას, მაკროორგანიზმის იმუნური პასუხი სახემეცვლილად არ ვლინდება, ასევე არ იცვლება დაზიანებული ღვიძლის ქსოვილის ინფილტრატის უჯრედული შემადგენლობა, თუმცა დაზიანების ადგილი შეიძლება იყოს დიდი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არ ფიქსირდება მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება იმუნოგლობულინების დონესა და ინვაზიის ინტენსივობასთან, და ბოლოს, ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ არიან მექანიზმები, რომლებიც ეხმარებიან მიკროორგანიზმ-პარაზიტებს განუდგნენ მაკროორგანიზმ-პატრონის იმუნურ-დამცავ ძალებს ან დათრგუნონ ისინი. {7,25,71,85,86,87,88,94,97,125}.

ფასციოლოზის კლინიკური სურათი


ფასციოლოზის ინკუბაციური პერიოდი შეადგენს 6-12 კვირას. დაავადება ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს საშუალო სიმძიმით. გამოყოფენ კლინიკური მიმდინარეობის მწვავე (ღვიძლის) ფაზას, ქრონიკულ (ბილიარულ) ფაზას, ასევე ექტოპიურ და ფარინგეალურ (pharyngeal) ფასციოლოზს.

მწვავე ფაზის დროს გამოხატულია საერთო სისუსტე, ანორექსია, ღებინება, გულისრევა, ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, ზოგჯერ ეპიგასტრიუმის მიდამოში, ჰეპატომეგალია, მიალგია. შეიძლება ადგილი ჰქონდეს სპლენომეგალიასაც. დამახასიათებელია ცხელება. ტემპერატურა შეიძლება იყოს სუბფებრილური, ტალღისებური და ჰექტიურიც კი. აღინიშნება კანისა და ლორწოვანის სიყვითლე, კანის ქავილი. შესაძლებელია სხვა სიმპტომების გამოვლენაც, როგორცაა ხველა და ურტიკარია; როგორც წესი, ყოველთვის ადგილი აქვს პერიფერიულ ეოზინოფილიას. მწვავე ფაზის სიმპტომები წელდება დაახლოებით 6 კვირაში. {11,17,19,24,31,40,46,47,53,54,63,65,72,73,84,148}

ფასციოლოზის როგორც მწვავე, ასე ქრონიკული ფაზის დროს კლინიკური ნიშნების გამოხატვა დამოკიდებულია პარაზიტის ორგანიზმით დაინვაზიების ინტენსივობასა და პაციენტის იმუნობიოლოგიურ მდგომარეობაზე {11,17,19,24,31,40,46,47,53, 54,63,65,72,73,75,84} ანუ შეიძლება ითქვას, რომ ღვიძლგარე სიმპტომების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს როგორც ალერგიული, ასევე იმუნოლოგიური მექანიზმები. ამ დროს პაციენტს შეიძლება გამოუვლინდეს „ლოფლერის“ მსგავსი სინდრომი ან მარჯვენა მხრივი პლევრატი ექსუდატით, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ეოზინოფილებს. ლიტერატურაში აღწერილია პერიკარდიტისა და გულის კუნთში განმტარებლობის დარღვევის კლინიკური სურათები, მენინგეალური და კეროვანი

ნევროლოგიური ცვლილებების სიმტომატიკა, ასევე კონვულსიის უიშვიათესი შემთხვევები.

ქრონიკული ბილიარული ფაზა, როგორც წესი იწყება დაინფიცირებიდან 6 კვრის შემდეგ და გრძელდება 10 წელი და მეტიც. {11,17,19,24,31,40,46,47,53,54,63,65,72,73,76,84,148}. დაავადების ეს ფაზა შეიძლება მიმდინარეობდეს ასიმპტომურად ან ადგილი ჰქონდეს ისეთ გამოვლინებებს როგორცაა დისპეპსია, წონაში დაკლება, ჰეპატომეგალია, სხვადასხვა ინტენსივობის ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში. ტკივილი ზოგჯერ მეტად ინტენსიური ხასიათისაა და ძალიან გავს ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების შეტევას. აღნიშნული გამოწვეულია ზრდასრული პარაზიტების სანაღვლე გზებისა და ნაღვლის ბუშტში ჩასახლებით და ხშირად ვლინდება ბილიარული კოლიკის, ბილიარული სადინრის ობსტრუქციისა და ქოლანგიტის კლინიკით. (იხ.ექოგრამა 6,13, 14,15). ამ დროს ადგილი აქვს სანაღვლე გზების ჰიპერპლაზიას და მათ კისტოზურ გადაგვარებას. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სანათურის ეპითელიუმის ჩამოფცქვნას, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სადინრის სანათურის დახშობა, რაც გამოვლინდება მექანიკური სიყვიითლით. დაავადების 30 %-ში {103,104,123,124} ვითარდება მეორადი პანკრეატიტი. ხანგრძლივად და მძიმედ მიმდინარე ფასციოლოზმა შეიძლება გამოიწვიოს მასკლეროზირებადი ქოლანგიტი და ბილიალური ციროზი.




ექოგრამა 1



ექოგრამა 2



ექოგრამა 3




ექოგრამა 4


ღვიძელში ნეიტროფილური და ეოზინოფილური ინფილტრაციის გაჩენა, აგრეთვე განაპირობებს ღვიძლის ქსოვილის შემერთებული ქსოვილით ჩანაცვლებას, რაც შემდგომში ქრონიკული ფიბროზული ჰეპატიტის განვითარებას უწყობს ხელს. ქრონიკულ ფაზაში ღვიძლის პარენქიმაში ჰელმინთებით და მათი კვერცხებით მრავალრიცხოვანი ანთებითი კერები ფიქსირდება. (იხ.ექოგრამა 1,2,3,4,5,6,7,8,15,16,17,18,20,21,22,23) ამ პერიოდში განავალში და ნაღვლის ულუფებში ჩნდება ფასციოლის კვერცხები. რაც შეეხება პერიფერიულ ეოზინოფილიას, ის ქრონიკულ–ბილიალურ ფაზაში, შედარებით ნაკლებადაა გამოხატული. {11, 17, 19, 24, 31, 46, 53, 54, 72, 73, 84, 103, 104, 123, 124, 148}




ექოგრამა 5



ექოგრამა 6



ექოგრამა 7



ექოგრამა 8

სხეულის ტემპერატურა დაავადების ქრონიკულ ფაზაში ნორმის ფარგლებშია, თუმცა გამორიცხული არ არის მისი გამოვლინება სუბფებრილური ტემპერატურის სახით. {28,75,76,79}

ფასციოლოზის მიმდინარეობა შეიძლება იყოს ტიპური და ატიპური. პირველი ხასიათდება ზემოთ აღნიშნული სიმპტომატიკით და აქვს კანონზომიერი ცვლა მწვავე ფაზის ლატენტურზე ან ქრონიკულზე.

ექტოპიური ფასციოლოზი ძირითადად გვხვდება ენდემურ რაიონებში ჰიპერინვაზიების შემთხვევაში. მას ახასიათებს კლინიკური მიმდინარეობის მრავალფეროვნება, რაც პირველ რიგში გამოწვეულია ღვიძლგარე ორგანოების ანატომიური სტრუქტურითა და ფუნქციური თავისებურებებით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ დღეისათვის უცნობია პარაზიტის მიგრაციის გზა ექტოპიურ ორგანოში, რომელიც შესაძლებელია იყოს ჰემატოგენური ან რბილი ქსოვილების გავლით. ექტოპიური ფასციოლოზის დროს ადგილი აქვს ქსოვილების მეორად დაზიანებას მიმდინარე ეოზინოფილური და მონონუკლეალური ინფილტრაციით; ამ დროს მეტაცერკარიებმა შესაძლებელია ვერ მიაღწიონ ზრდასრულ მდგომარეობას და გააგრძელონ პარაზიტიზმი ლარვის სტადიაში. როგორც წესი, ეს პროცესი, მეტად გამოხატულია მუცლის წინა კედლის კანქვეშა ქსოვილში, მაგრამ გვხვდება ექტოპიური

ფასციოლოჯის სხვა ვარიანტებიც ცერებრალური ფასციოლოჯის (ტვინის ქსოვილის დაზიანება), თვალის ფასციოლოჯის სახით; ფილტვის ფორმა ხასიათდება პლევრითა და ფილტვის ქსოვილის ინფილტრაციით; კანქვეშა ფორმა (ექოგრამა9) ვლინდება ქავილით, ნაზი, მიგრირირებადი, ერთემატოზული კვანძებით, რომელთა დიამეტრიც 1-დან 6 სმ-ს აღწევს; ასევე აღწერილია პარაზიტული გენერალიზებული ლიმფოადენოპათია. {28, 75, 76, 79, 80, 81, 83, 84, 100, 102, 103, 149}



ექოგრამა 9

ცალკე ნოზოლოგიური ფორმაა ფარენგეალური ფასციოლოჯი (Halzoun Syndrome). - რომელიც გავრცელებულია შუა და ახლო აღმოსავლეთ აზიაში და დაკავშირებულია ცხოველის (უმთავრესად ცხვრის) უმი პარაზიტით დაინვაზიებული ღვიძლის მიღებასთან; ამ დროს ორპირა ემაგრება ზედა რესპირატორულ ან საჭმლის მომნელებელ ტრაქტს და იწვევს ფარინგიტს. დაავადება ხასიათდება დისფაგიით, ქოშინით, სასუნთქი გზების ობსტრუქციით და სისხლის დენით {28,75,76, 79,80,81, 83,84,100,102,103,149}

კერძო შემთხვევის ანალიზი – სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტს მოგვმართა მამრობითი სქესის 64 წლის პაციენტმა დიაგნოზით – ეოზინოფილია დაუზუსტებელი. მისი დაავადების ანამნეზი მოიცავდა 7 თვეს; როგორც პაციენტი აღნიშნავდა: 7 თვის წინ შენიშნა მარჯვენა თვალის ქვედა ქუთუთოს შესიება და სიწითლე, ამავე მხარეს ლოყის შესიება, მოგვიანებით დაეწყო ხველა. აღნიშნული ჩივილების გამო პაციენტს ჩატარებული ჰქონდა მთელი რიგი კვლევები და კონსულტაციები:

-რბილი ქსოვილების ექოსკოპია (16.01.19), კვლევის შედეგად დადგინდა: მარჯვენა თვალის ქვედა ზედაპირზე იმბიბირებული უბანი ზომით 15 მმ-მდე, რომელშიც ისახებოდა ჰიპერექოგენტური, ხაზოვანი უბნები შემოფარგლული კაფსულირებადი წარმონაქმნის გარეშე (ექოგრამა9)

-13.02.19 ჩაუტარდა მარჯვენა თვალის საცრემლე გზების ზონდირება. შედეგი: არხი გამავალი, საცრემლე წერტილი და გზა შევიწროებული.

-თავის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიაზე (21.02.19) გამოვლინდა: ჩატარებულ იქნა თავის ტვინის და ორბიტის მრ კვლევა საგიტალური, აქსიალური და კორონალური ჭრილით T1tse, T2tse, T1tse(fatsat), T2tse(fatsat), tirm, GRE, DWI რეჟიმების გამოყენებით და ი/ვ კონტრასტული გაძლიერებით (Gadovist-7,5 ml). მიღებულ ტომოგრამებზე მარჯვნივ ქვედა ქუთუთოს არეში კანქვეშ, მცირედი გავრცელებით ორბიტაში ქვედა სწორი კუნთის მიმაგრების დონემდე ისახება არასწორი, არამკაფიო კონტურების მქონე, ჰომოგენური სტრუქტურის, ინტენსიურად კონტრასტირებადი, ინფილტრაციულად მზარდი მოცულობითი წარმონაქმნი, ზომებით: წინა-უკანა- 2,2 სმ, განივი- 5,1 სმ, სიგრძივი – 2,5 სმ, რომელიც იწვევს

მცირე ზეწოლას თვალის კაკალზე. ამ მხრივ თვალის კაკალი, მხედველობის ნერვი, თვალის მამოძრავებელი კუნთები, საცრემლე ჯირკვავალი და რეტრობულბური სივრცეები ისახება პათოლოგიური ცვლილებების გარეშე. მარჯვნივ კუდიანი ბირთვის თავში ისახება ლაკუნარული ინფარქტის უბანი. (ქრონიკული) მწვავე იშემიური პროცესი არ აღინიშნება.

დასკვნა: არსებული მრ კვლევით ვლინდება ინფლტრაციულად მზარდი მოცულობითი წარმონაქმნი მარჯვნივ ქვედა ქუთუთოს არეში კანქვეშ, მცირედი გავრცელებით ორბიტაში, ქვედა სწორი კუნთის მიმაგრების დონემდე, ლაკუნარული ინფლტრაციის უბნები (ქრონიკული) მარჯვნივ კუდიანი ბირთვის თავში.

-გაკეთდა მარჯვენა თვალის ქვედა ქუთუთოს ბიოფსია, (19.03.19), პოსტოპერაციული მასალა გაიგზავნილ იქნა ჰისტოლოგიურ კვლევაზე. გამოიკვეთა ჰისტოლოგიური დიაგნოზი: გამოკვლეული მასალა წარმოდგენილია მარჯვენა თვალის ქვედა ქუთუთოს მიმდებარე უბნებიდან აღებული ქსოვილოვანი ნიმუშით, რომელშიც ვლინდება კუნთოვან ბოჭკოებს შორის განთავსებული ლიმფო-პლაზმოციტური ინფლტრაციის უბნები პერივასკულარული განაწილებით.

ჩვენს კლინიკაში მომართვამდე პაციენტის სავარაუდო დიაგნოზები იყო: დაუზუსტებელი დერმატიტი, ქვედა ქუთუთოს ლიმფომა, საცრემლე გზების ქრონიკული ანთება, OD- ქუთუთოს დაზიანება დაუზუსტებელი (სისტემური დაავადების ფონზე?), ეოზინოფილია დაუზუსტებელი. ამ პერიოდში პაციენტმა ჩაიტარა: ანტიბიოტიკოთერაპია (ციპროფლოქსაცინი, ლევოფლოქსაცინი (თვალის წვეთები), მიიღო ანტიჰისტამინური პრეპარატები, ადგილობრივად იყენებდა გარეგანი გამოყენების გლუკოკორტიკოიდულ

მაღამოს და პერიოდულად უკეთდებოდა ბეტამეტაზონის ინექციები.

სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტში პაციენტს დაუდგინდა: ფასციოლოზის დიაგნოზი. დიაგნოზი დადასტურებული იყო ანტისხეულების დადებითი ტიტრით: –*Fasciola hepatica* IgG 39,0 (დასაშვები დიაპაზონი <9 DU); სისხლის საერთო ანალიზში გამოვლინდა ეოზინოფილია (მკურნალობის დაწყებამდე ეოზინოფილები 19 %, მკურნალობის დასრულებიდან ერთ თვეში ეოზინოფილების მაჩვენებელი იყო 6%); მუცლის ღრუს უბკ-ის შედეგად დადგინდა ზომიერი ჰეპატომეგალია. პაციენტმა ჩვენს კლინიკაში მიიღო შესაბამისი ანტიპარაზიტული თერაპია ტრიკლასენდაზოლი (20 მგ/კგ-ზე) ანტიპარაზიტული მკურნალობიდან 1 თვის შემდეგ პაციენტს სიმპტომურ ადგილზე აღენიშნებოდა ნაზი ნაწიბური. პალპატორულად აღნიშნული უბანი და რბილი ქსოვილები შესიებისა და პათოლოგიური ჩანართის გარეშე, უმტკივნეულო.

მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ტრანზიტორული და ქრონიკული ფასციოლოზი. ამ ფორმების გარჩევა ერთმანეთისაგან საკმაოდ რთულია, მაგრამ, მიიტანო ეჭვი – დასაშვები და აუცილებელია. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტრანზიტორული ფასციოლოზის დროს ჩივილი ჰეპატობილიალური სისტემის მხრივ პაციენტს არ აქვს, ხოლო განავალში ნაწიბი ჰელმინთის კვერცხი ტრანზიტორულია, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვდა დაინფიცირებული წვრილფეხა ან მსხვილფეხა პირუტყვის ღვიძლის მიღების შედეგად. ასეთ შემთხვევაში კვერცხი არაინვაზიურია, მისგან პარაზიტი არ

ვითარდება და შესაბამისად, არ არის დაავადების გამომწვევი. დიაგნოზის დაზუსტების მიზნით აუცილებელია დეტალურად შეგროვდეს ანამნეზი (ღვიძლის მიღება უახლოესი 3-5 დღის წინ) და ჩატარდეს ხელახალი კოპროოვოსკოპია 7-10 დღის შემდეგ. {28,75,80,100,149}

გართულებები ფასციოლოზის დროს

ზრდასრულ ფასციოლას ახასიათებს განსაკუთრებული ტროპიზმი ღვიძლის პარენქიმის მიმართ, ამიტომ გართულებები ძირითადად ვლინდება ჰეპატობილიარული ტრაქტის მხრივ. პარაზიტი უმეტეს წილად იწვევს ჰეპატოციტების ნეკროზს, რასაც მოსდევს შემაერთებელი ქსოვილის განვითარება და კალციუმის მარილების დაგროვება, რაც შესაბამისად განაპირობებს აღნიშნული ორგანოს ფუქციის მოშლას. {11,14,17,24,28,71,82,147,148,149}

მწვავე ფაზა შეიძლება გართულდეს ჰემობილიით ან ღვიძლის სუბკაფსულარული ჰემატომით, იშვიათ შემთხვევაში, დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობის დროს შესაძლებელია განვითარდეს ღვიძლის პარენქიმის ნეკროზი ღვიძლის ქსოვილის დიდ ფართობზე. {90,99,103}


ფასციოლოზის დროს მკვეთრად გამოხატული ტოქსიკურ-ალერგიული რეაქციების გამო ზიანდება ღვიძლის ქსოვილი, ხშირია ქრონიკული კატარული ქოლანგიტი, ინტერსტიციური ჰეპატიტი, ეოზინოფილური გრანულომები, მცირე ზომის აბსცესებითა და ჰემორაგიებით. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს ღვიძლში ციროზის განვითარებას და შორს წასულ შემთხვევაში მთავრდება ლეტალური შედეგით. {35,36,38,39,100,123, 142}. ღვიძლის ნეკროზული გრანულომა ლიტერატურაში აღწერილია ესპანელი, თურქი, კორეელი მედიკოსების მიერ {35,38,39,77,103,148}

დიფერენციალური დიაგნოზი


ფასციოლოზის კლინიკური მიმდინარეობიდან გამომდინარე დიფერენციალური დიაგნოზი მწვავე (ღვიძლის) და ქრონიკული (ბილიალური) ფაზის დროს სხვადასხვაა. {7,19,27,28,44,56,71,72,73,75,77,113,135}

მწვავე (ღვიძლის) ფაზა –


- ❖ ტოქსოკაროზი – (TOXOCARIASIS) – ამ შემთხვევაში განვიხილავთ ვისცერულ ტოქსოკაროზს. აღნიშნული ჰელმინთი არ არის ადამიანის ბუნებრივი პარაზიტი; თუმცა ლარვებს აქვთ უნარი მიგრირებდნენ ღვიძლში და ფილტვებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჰეპატიტი ან/და პნევმონია. დიაგნოზის დასადასტურებლად ტარდება სპეციფიური ანტისხეულების იმუნოსორბენტული ანალიზი – (ELISA)-ს რეაქცია.
- ❖ ასკარიდოზი – (ASCARIDOSIS) – ასკარიდი მიეკუთვნება მრგვალ ჭიებს. პარაზიტით სენსიბილიზირებულ ადამიანს მიგრაციულ ფაზაში აღენიშნება რესპირატორული სიმპტომატიკა, ლოფლერის სინდრომი. დიაგნოზის დასმის მიზნით სრულდება განავლის მიკროსკოპირება და/ან სპეციფიური ანტისხეულების იმუნოსორბენტული ანალიზი – (ELISA)-ს რეაქცია.
- ❖ სტრონგილოიდოზი – (STRONGYLOIDASIS) – სტრონგილოიდი მიეკუთვნება მრგვალი ჭიების ოჯახს; პარაზიტით სენსიბილიზირებულ ადამიანს - ლავრის ტრანსპულმონური მიგრაციის ფაზაში აღენიშნება მშრალი ხველა, ხახის სიმშრალე, ქოშინი, სისხლიანი ნახველი; ლოფლერის მსგავსი სინდრომი შედარებით იშვიათია; დიაგნოზი დაისმის რაბდიფორმული ლავრების აღმოჩენისას განავალში ან/და სპეციფიური ანტისხეულების იმუნოსორბენტული ანალიზი – (ELISA)-ს რეაქცია.




ექოგრამა 12



ექოგრამა 13



ექოგრამა 14




ექოგრამა 15


- ❖ სიმსივნე (პირველადი ან მეორადი მალიგნიზაცია) – ჰეპატოცელულარული კარცინომა, და/ან მეტასტაზური ჩანართები ღვიძლის ქსოვილში დიფერენციალური დიაგნოზისთვის ტარდება შესაბამისი რადიოლოგიური (კტ, მრტ, უბგ, ერქპგ) და ლაბორატორიული კვლევები.
- ❖ პიოგენური აბსცესი – ღვიძლის პიოგენური აბსცესის კლინიკური გამოვლინება მოიცავს ცხელებას და ტკივილს

მუცლის არეში. სხვა საერთო სიმპტომებიდან აღინიშნება გულისრევა, ღებინება, ანორექსია, წონის დაკარგვა და სისუსტე. დიაგნოზი დასტურდება რადიოლოგიურად, შემდგომი დამიზნებითი ასპირაციით და ამ უკანასკნელის დათესვით გზით.


- ❖ ღვიძლის ამებური აბსცესი – კლინიკური გამოვლინება მოიცავს ტკივილს მარჯვენა ფერდქვეშა არეში, ცხელებას. დიაგნოზი ძირითადად დაისმევა რადიოლოგიური და სეროლოგიური კვლევების მეშვეობით, კოპროლოგიით ან განავლის ანტიგენ-ანალიზით.
- ❖ ექინოკოკოზი – იწვევს ღვიძლის ქსოვილის დაზიანებას. დიფერენცირებისთვის მნიშვნელოვანია რადიოლოგიური და სეროლოგიური კვლევების შედეგები. ექინოკოკოზური დაზიანების უბნები ულტრაბგერითი კვლევისას ხასიათდება გამოხატული არაჰომოგენური კეროვანი კისტური ჩანართებით Dღვიძლის პარენქიმაში, ფასციოლოზის შემთხვევაში - კეროვანი დაზიანება ძირითადად ქსოვილოვანი კომპონენტით ხასიათდება და ექოლოგიურად ჰიპოექოგენურია (ექოგრამა 19, 23, 24, 25, 26).




ექოგრამა 16



ექოგრამა 17



ექოგრამა 18



ექოგრამა 19

ქრონიკული (ბილიალური) ფაზა – ამ შემთხვევაში დიფერენციალური დიაგნოზი მოიცავს სანაღვლე გზების ობსტრუქციის ინფექციურ და არაინფექციურ მიზეზებს.

- ❖ ბილიალური ასკარიდოზი, ოპისტორქოზი, კლონორქოზი – კონკრეტული დიაგნოზის დასმის მიზნით ტარდება მიკროსკოპირება ან ენდოსკოპიური რეტროგრაფული ხოლანგიოპანკრეოტოგრაფია.
- ❖ ნაღვლკენჭოვანი დაავადება, ქოლანგიტი, ქოლეცისტიტი და ხოლანგიოკარცინომა. – ქოლესტატიკური პათოლოგიით მიმდინარე პროცესების შემთხვევაში პაციენტებს აღენიშნებათ ტკივილი მუცლის მარჯვენა ზედა კვადრატში, ხოლო სისხლში ადგილი აქვს ღვიძლის ფერმენტების მაჩვენებლის მატებას.

შეცდომები ფასციოლოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში

მიუხედავად გარკვეული გამოცდილებისა, ფასციოლოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში, ჯერ კიდევ აღინიშნება დაავადების გვიანი გამოვლენა. ლიტერატურული მონაცემებით, დაავადების მწვავე ფაზის დროული დადგენა შემთხვევათა 73 % - ში ხდება, ბილიარურ ფაზაში კი საშუალოდ, დაავადების დაწყებიდან 64 კვირის შემდეგ. {28,83,107,111,112,117,118,119,120,121}

ვინაიდან, აღნიშნულ ნოზოლოგიას უმეტეს წილად ახასიათებს სხვადასხვა ინტენსივობის და ხასიათის ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, ამ კატეგორიის პაციენტების ძირითადი ჯგუფი “ნალვლ-კენჭოვანი დაავადების შეტევით” ხვდებიან ქირურგიულ სტაციონარებში. {75,76,78,82,84,92}.


გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ ფასციოლოზის მწვავე ფაზაში კლინიკური და ჰემატოლოგიური სურათი ძალიან ჰგავს ზოგიერთი ბიოჰელმინთოზის, ალერგიული პათოლოგიისა და სისტემური დაავადების კლინიკო-ჰემატოლოგიურ სურათსაც. {75,76,78,82,84,92 }

ფასციოლოზის რეციდივი

ფასციოლოზის რეციდივი დგინდება დაავადების კლინიკური ნიშნების ხელახალი დაფიქსირებისას სპეციფიკური მკურნალობიდან 1-3-6 თვის შემდეგ. ასაკობრივ მაჩვენებელს ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. რაც შეეხება დაავადების ხანგრძლივობას, განსაკუთრებულ მახასიათებელს ადგილი არ აქვს.

ფასციოლოზის რეციდივის კლინიკური ნიშნები არ განსხვავდება პირველადი დაავადების კლინიკური ნიშნებისაგან და განხილულია ნაშრომის VIII თავში.


სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტში ადამიანის ფასციოლოზის რეციდივის აღწერა დაიწყო 2015 წლიდან. 2015-2017 წლებში (იხ. ცხრილი 3) დაავადების რეციდივი დაუდგინდა 9 ადამიანს, სადაც 2 (22,2%) იყო ბავშვი 10-13 წლის, 7 (77,8%) მოზრდილი, რომელთა ასაკი მერყეობდა 37 წლიდან 71 წლის ჩათვლით. მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო სოფელი. სპეციფიკური ანტიპარაზიტული მკურნალობიდან 1 თვის შემდეგ დაავადების რეციდივი დაუდგინდა 1 პაციენტს, 2 თვის შემდეგ - 2-ს, 5 თვის შემდეგ - 1-ს, 6 თვის შემდეგ - 2-ს, 11 თვის შემდეგ - 1-ს, 1 წლის შემდეგ - 1-ს, 1 წლისა და 1 თვის შემდეგ - 1-ს.



შენიშვნა: დაავადების რეციდივი დაუდგონდა მკურნალობის სრული კურსის დასრულებიდან 1,2,4,6,11,12,13 თვის შემდეგ

ფასციოლოზის დიაგნოსტიკა

ადამიანის ფასციოლოზის დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება კვლევის სხვადასხვა მეთოდები: ერთ-ერთ ძირითად და სარწმუნო მეთოდს წარმოადგენს მიკროსკოპირება - პარაზიტის კვერცხის იდენტიფიცირება დაინვაზიებულის განავალში ან დუოდენალური ზონდაჟით მიღებულ ნაღვლის სინჯებში; განავალში ფასციოლას კვერცხის აღმოჩენა (ოვოსკოპირი მეთოდი) ხდება მას შემდეგ, რაც ადოლესკარიდან გამოთავისუფლებული ლარვა ამთავრებს ქსოვილში მიგრაციას და ღვიძლში ზრდასრულ პარაზიტად გადაიქცევა. ფასციოლის კვერცხის ნახვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია პარაზიტის ე.წ. “ტრანზიტული” კვერცხის აღმოჩენის შესაძლებლობა, რაც ადამიანის მიერ ფასციოლოზით დაავადებული ცხოველის ღვიძლის საკვებად გამოყენების შედეგია. პარაზიტის კვერცხის აღმოჩენა გართულებულია დაავადების მწვავე ფაზასა და ექტოპირი ფასციოლოზის დროს. დიაგნოზის დასმის მიზნით გამოიყენება ეგრეთ წოდებული ალტერნატიული მეთოდები: ეს არის მასალა მიღებული ენდოსკოპირი ან/და ქირურგიული ჩარევის ან სეროლოგიური კვლევის შედეგად {7,8,13,14, 27,30,125,126,132,134,138,}. ღვიძლის დაზიანებული ადგილიდან ბიოფსისისთვის აღებულ მასალაში (იხ. სურათი 9) იშვიათია ინახოს პარაზიტის კვერცხი ან პარაზიტის ზრდასრული ფორმა. ფასციოლოზზე კი, ამ დროს, მიუთითებს ღვიძლის ქსოვილში ჰისტოლოგიური ცვლილებები; ესენია: შარკო-ლეიდენის კრისტალები, ეოზინოფილები და მრავლობითი კალციფიცირებული კერები (სურათი 10). ასევე კვლევის ალტერნატიულ მეთოდს წარმოადგენს მოლეკულური ტესტირება – პოლიმერაზულ-ჯაქვური რეაქცია განავალის მასებში, რომელიც ასევე ხასიათდება მაღალი სენსიტიურობით. {7,8,13,14,27,30,125,126,132,134,138,}.




სურათი 10.
ფასციოლოზით დაავადებული პაციენტის ღვიძლი

თანამედროვე ეტაპზე ფასციოლოზის დასადგენად დანერგულია სეროლოგიური კვლევის მეთოდები: იმუნოსორბენტული ანალიზის რეაქცია (ELISA), არაპირდაპირი ჰემ-აგლუტინაცია, კომპლემენტის ფიქსაცია (შეწებვა), იმუნოფლოუორესცენცია. ყველა ამ ტესტს აქვს მაღალი სენსიტიურობა. ის დადებით პასუხს იძლევა დაავადების ადრეულ სტადიაზე, სანამ კვერცხის იდენტიფიცირება მოხდება განავალში. აღნიშნული კვლევა ასევე მნიშვნელოვანია ქრონიკული ფაზის სადიაგნოზოდ და ექტოპიური ფასციოლოზის გამოსავლენად. აღსანიშნავია, რომ ტესტირების წარმოებისათვის მოწოდებულია პარაზიტის როგორც სომატური, ისე კოპრო- და ურინო- ანტიგენები. მაკროორგანიზმში ფასციოლას მიმართ სპეციფიკური ანტისხეულები ჩნდება ინფიცირებიდან დაახლოებით 2-4 კვირის შემდეგ და 5-6 კვირით უსწრებს ფასციოლის კვერცხის გამოჩენას განავალში. გასათვალისწინებელია ის, გარემოებაც, რომ აღნიშნული სეროლოგიური კვლევების სპეციფიკურობა განსხვავებულია და დასაშვებია ჯვარედინი რეაქცია სხვა პარაზიტულ ინფექციასთან. {8, 11, 13, 14, 90, 92, 93, 94, 95, 96, 98, 124, 125, 126, 130, 132, 139, 140, 141, 143, 144}.

❖ პარენქიმული ორგანოებისა და ბილიალური ტრაქტის რადიოლოგიური კვლევის მეთოდები


ბოლო წლებში ფასციოლოზის დიაგნოსტიკაში მაღალი ინფორმაციულობის გამო ფართოდ გამოიყენება რადიოლოგიური კვლევის მეთოდები (ულტრაბგერითი კვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული კვლევა) {36, 38, 39, 71, 99, 100, 101, 103, 106, 107, 122, 123, 142, 148}. დაავადების მიმდინარეობის ორივე ფაზაში ასევე, აქტიურად გამოიყენება კვლევის როგორც არაინვაზიური, ასევე ინვაზიური მეთოდები. ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებიდან ქრონიკული ფასციოლოზის დროს ოქროს სტანდარტად გვევლინება ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია. {36,37,40,78,143} (იხ.სურათი 11)




სურათი11. პრეპარატი ამოღებული თორმეტგოჯა ნაწლავიდან ენდოსკოპიური რეტროგრადული ხოლანგიოპანკრეატოგრაფიით.

ულტრაბგერით სკანირებას, როგორც რადიოლოგიური კვლევის არაინვაზიურ მეთოდს - მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფასციოლოზის როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული ფაზის დასადგენად. ულტრაბგერითი სკანირებით ღვიძლის პარენქიმის ექოსემიოტიკა წარმოჩინდება დაბალი ექოგენობის უსწორო ფორმის კეროვანი დაზიანებებით; აღნიშნულ ჩანართთა კიდევები გამოირჩევა არამკვეთრი არასწორი კონტურით, იშვიათ


შემთხვევაში პათოლოგიურ უბანში ვლინდება ანექოგენური არშია. (იხ. ექოგრამა 1,2,3,4,5,6,13,16,21,22). აღნიშნული ცვლილებები ღვიძლის პარენქიმაში დასტურდება კომპიუტერულ-ტომოგრაფიული და მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევებითაც. ამ შემთხვევაში ღვიძლის ფაზაში ვლინდება ჰეპატიტის ან პერიჰეპატიტის სურათი მიმდინარე ჰეპატომეგალიით. დაავადების მწვავე ფაზაში ასევე ადგილი აქვს სპლენომეგალიას და პერიპორტალურ ლიმფოადენოპათიას. დაავადების ქრონიკულ ფაზაში ულტრაბგერითი კვლევით ფიქსირდება ღვიძლის ცენტრალური სადინრების დილატაცია, გამოხატული კედლის სიმკვრივით და სიმეტრიული პერიპორტული გაფაშრებით (იხ. ექოგრამა 1,13,14,6,18). {29,36,37,39,40,44,103,145,149}. შესაძლებელია გამოვლინდეს საერთო სანაღვლე სადინრის არათანაბრი გასქელება. ადამიანის ფასციოლოზისათვის დამახასიათებელი კეროვანი ცვლილებები ღვიძლის პარენქიმის როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა წილში გვხვდება. თუმცა ბოლო წლების ლიტერატურული მონაცემების მიმოხილვით, რადიოლოგთა უმრავლესობა კეროვანი ცვლილებების დაფიქსირებაში ღვიძლის მარცხენა წილს ანიჭებს უპირატესობას. {29,35,36,38,39,71,99, 100,101, 102,106,107,117,122,123}.




ექოგრამა 20



ელოგრამა 21




ელოგრამა 22



ელოგრამა 23

ჩვენს მიერ ჩატარებული ულტრაბგერითი კვლევის ანალიზი მოიცავს 2010-2017 წლებს. რადიოლოგიური კვლევა ჩაუტარდა 363 ავადმყოფს; ჰეპატომეგალია დაუდგინდა აბსოლუტურად ყველა პაციენტს. 128-ს (35,26%) აღენიშნებოდა ფასციოლოზისათვის დამახასიათებელი კეროვანი ცვლილებები ღვიძლის ორივე წილში, 63-ს (17,36%) კეროვანი ცვლილებები დაუფიქსირდა ღვიძლის მარჯვენა წილში, 67-ს (18,46%) – ღვიძლის მარცხენა წილში. 105 (28,92%) პაციენტთან კეროვანი ცვლილებები არ დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა 4)


დიაგრამა4




შენიშვნა:

- კეროვანი ცვლილებები ღვიძლის ორივე წილში
- კეროვანი ცვლილებების გარეშე
- კეროვანი ცვლილებები ღვიძლის მარცხენა წილში
- კეროვანი ცვლილებები ღვიძლის მარჯვენა წილში


დაავადების ქრონიკულ ფაზაში ულტრაბგერითი კვლევის წარმოებისას ნაღვლის სადინრებში ან/და ასევე ნაღვლის ბუშტში, არც თუ იშვიათად, ფიქსირდება პარაზიტის მოძრაობა.



ექოგრამა 24




ექოგრამა 25




ექოგრაფია 26


მასალის კლინიკური ანალიზი: ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებში მხოლოდ 2 (0,55%) ავადმყოფს დაუდგინდა ზემოთ აღწერილი სურათი (ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პარაზიტის არსებობას ნაღვლის ბუშტში, მეორე შემთხვევაში საერთო სანაღვლე სადინარში. (იხ.ექოგრაფია 27,28,29,30). **სპეციფიკური** ანტიპარაზიტული მკურნალობის დასრულებიდან 5 დღის შემდეგ ამ პაციენტებს ჩატარდათ სტანდარტული ექოსკოპიური საკონტროლო კვლევა. ნაღვლის ბუშტსა და საერთო სანაღვლე სადინარში სავარაუდო პარაზიტი არ დაფიქსირდა (იხ. ექოგრაფია 31,32,33)



ექოგრამა 27




ექოგრამა 28




ეკოგრამა 29




ეკოგრამა 30



ეკოგრამა 31



ეკოგრამა 32



ექოგრაფია 33

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში სპეციფიკური ანტიპარაზიტული მკურნალობის ჩატარებიდან 1 თვის შემდეგ განხორციელებულ ულტრაბგერით კვლევებში პაციენტთა 95 %-ს ფასციოლოზისათვის დამახასიათებელი კეროვანი ცვლილებები არ დაუფიქსირდა.


363 პაციენტიდან, რომელთაც სპეციფიკური ანტიპარაზიტული მკურნალობის დასრულების შემდეგ პერიოდულად უტარდებოდა მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი კვლევის მონიტორინგი, 99,4%-ს მკურნალობიდან 3 თვის შემდეგ, ფასციოლოზისათვის დამახასიათებელი კეროვანი ცვლილებები ღვიძლის პარენქიმაში არ დაუფიქსირდა; 2 (0,6%) პაციენტს – (ერთი ბავშვი -6 წლის ასაკიდან 4 წლის განმავლობაში იმყოფება ჩვენს კლინიკაში მეთვალყურეობის ქვეშ) კვლევის ყველა ეტაპზე აღენიშნებოდა (ექოსკოპია19,20) ოვალური

ფორმის, სწორი არამკვეთრი კონტურის ჰიპო-ჰიპერექოგენური არაგასკულირებადი უბნები. დინამიკაში აღნიშნული კეროვანი დაზიანებები არ იცვლებოდა. აღნიშნულ პაციენტს დაკვირვების პერიოდში 2 - ჯერ ჩაუტარდა კომპიუტერული ტომოგრაფია, სადაც ასევე დაფიქსირდა კეროვანი ცვლილებები დინამიკის გარეშე. მეორე პაციენტის შემთხვევაშიც (53 წლის ქალბატონი 10 თვის განმავლობაში იმყოფება მეთვალყურეობის ქვეშ ღვიძლის ულტრაბგერითი მახასიათებლები კვლევის ყველა ეტაპზე ტოპოგრაფიულად და ულტრაბგერითი სემიოტიკით რჩებოდა დინამიკის გარეშე. (ექოსკოპია 17,18)

ჩვენი აზრით, აღნიშნული ცვლილებები მიუთითებს ღვიძლის ქსოვილში პარაზიტის, ასევე მისი ენზიმების ზემოქმედების შედეგად, მიმდინარე ორგანიზაციის პერიოდს, რაც შემდგომში ვლინდება შემაერთებელი ქსოვილისა და კალციფიკატის ჩამოყალიბებით. აღნიშნული მოსაზრება შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

კომპიუტერული ტომოგრაფიითა და მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევებით – ვლინდება ღვიძლის სამი სახის დაზიანება, რომელიც მსგავსია პიოგენური პროცესისა, რაც შეიძლება იყოს შედეგი ფასციოლას ლარვების ღვიძლში მიგრაციისა. პათოლოგიური კერა შესაძლებელია განლაგებული იყოს ზოლის ან ნებისმიერი სხვა ფორმის სახით. მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევებით სიმპტომურ ადგილას ფიქსირდება სხვადასხვა იმპულსური ინტენსივობა ჰიპერინტენსიური იმპულსის სახით - T1 რეზონანსზე და პროტონული სიმკვრივე – T2 რეზონანსზე, ანუ ჰიპო- ან იზოინტენსივობის კერები T1 ტალღაზე და ჰიპერინტენსიური კერები T2 ტალღაზე, რაც შესაძლებელია

გამოწვეული იყოს ღვიძლის დაზიანებული უბნის გარშემო იმპულსის ინტენსივობის შემცირებით. {35,36,38,39,99,100,101,102, 106,117,123,148}. **კომპიუტერული ტომოგრაფიით** - პათოლოგიური კერა ვლინდება ჰიპოდენსიური უბნებით, კალციფიკატებით ღვიძლის პარენქიმაში და ღვიძლის კაფსულის გასქელებით. {35,36 ,38,39,99,100,101,102,106,117,123,148}.



სურათი 12,13 - მუცლის ღრუს კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა ფსაციოლოზისათვის დამახასიათებელი ცვლილებები (მიკროაბსცესების კერების კტ-ლი სურათი: მკვრივი უბნები არამკვეთრი კიდეებით (იხ. ისრები))

❖ ჰემატოლოგიური თავისებურებანი ფასციოლოზის

დროს სისხლის საერთო ანალიზი – დაავადების მწვავე მიგრაციული ფაზისათვის – ყველაზე პათოგნომურია – მაღალი ეოზინოფილია, ლეიკოციტოზი და ედს-ის აჩქარება. ჰიპერეოზინოფილია მარცხნივ გადახრით ვლინდება ძვლის ტვინში, მაშინ როდესაც მსგავსი სურათი არ ფიქსირდება პერიფერიულ სისხლში. {8,11,13,14,30,79,82.}

პერიფერიულ სისხლში ეოზინოფილების რაოდენობა ჩვენს პაციენტებში საშუალოდ 18-30 %-იდან 60 %-მდე აღწევს. ლეიკოციტების - $20 \times 10^9/\text{ლ}$ -დან $40 \times 10^9/\text{ლ}$ -მდე მერყეობს. ერთეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ეოზინოფილურ ლეიკემოიდურ რეაქციას.

– დაავადების ქრონიკულ ფაზაში პერიფერიული სისხლის სურათი თანდათან სწორდება და არაიშვიათად ნორმარულ მაჩვენებელს უბრუნდება, მაგრამ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მაღალ ან ზომიერ ეოზინოფილიას. {8,11,13,14,30,79,82.}

ღვიძლის ფუნქციური სინჯები–

ყველა პაციენტს ჩაუტარდა სისხლის ბიოქიმიური ანალიზი. სისხლის ბიოქიმიური ანალიზი მოიცავდა: ბილირუბინის (მატება - 122 (33,6%) პაციენტში, ნორმა - 241 (66,4%) პაციენტში), ალანინ-ამინოტრანსფერაზის (მატება - 128(35,26%) პაციენტში, ნორმა - 235 (64,73 %) პაციენტში), ასპარტატ-ამინოტრანსფერაზის (მატება - 128 (35,26 %) პაციენტში, ნორმა - 235 (64,73 %) პაციენტში), საერთო ცილის (მატება - არცერთ შემთხვევაში, ნორმა - 235 (64,73 %)პაციენტში), ალბუმინის

(მატება - არც ერთ შემთხვევაში, ნორმა - 255 (70,24%)
პაციენტში), შარდოვანასა და კრეატინინის (მატება -
10(2,75%) პაციენტში, ნორმა - 353 (97,24%)პაციენტში)
განსაზრვრას სისხლში.

ფასციოლოზის მკურნალობა

1990 წლიდან ადამიანის ფასციოლოზის სამკურნალოდ გამოიყენება ტრიკლაზენდაზოლი (ეგატენი), რომელიც მიეკუთვნება ბენზიმიდაზოლებს წარმოებული. პრეპარატი არ არის ტოქსიური და მაღალეფექტურია. ფასციოლოზის სამკურნალოდ იგი ინიშნება 10-20 მგ/კგ წონაზე. მედიკამენტი იყოფა ორ თანაბარ დოზად და ავადმყოფს ეძლევა დღეში 2-ჯერ კვების შემდეგ.

მკურნალობა ერთდღიანია. {35, 47, 49, 67, 90, 109, 111, 112, 113, 114, 115, 117, 119, 124,146,147,149.}

ფასციოლოზის პროფილაქტიკა

ფასციოლოზი მნიშვნელოვანი პრობლემაა როგორც სამედიცინო, ასევე ვეტერინალური სექტორისათვის. ამ თვალსაზრისით ვეტერინარული სამსახურისათვის უმნიშვნელოვანესია სამოვრების გაჯანსაღება, რისთვისაც პირველ რიგში შუამავალი მასპინძლის ჩამოშორებაა საჭირო. აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად გამოიყენება მოლუსკოციდური პრეპარატები, ანტიჰელმინთური მედიკამენტები. ცხოველების სამკურნალოდ და ქიმიოპროფილაქტიკისათვის იყენებენ ვალბაზენს, ივომეკოლპლიუსს, ფაზინექსინს, ვერმიტანს, აცემიდოფენს და სხვა. ამასთან ერთად ფასციოლოზის პროფილაქტიკის საქმეში შინაური პირუტყვის გაჯანსაღებისათვის საგულისხმო და მნიშვნელოვანია ისეთი მეთოდების დანერგვა როგორცაა სამოვრების ცვლა, ცხოველების გამოსაკვებად სპეციალიზირებული სილოსირებული საკვების გამოყენება და სხვა {27,31,48,51,54, 56,64,67.}

ჯანდაცვის სფეროსათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფასციოლოზით დაავადებული ადამიანის დროული გამოვლენა და შესაბამისი მკურნალობის ჩატარება.

პირადი პროფილაქტიკა ფასციოლოზისაგან დასაცავად:

ადამიანი უნდა მოერიდოს ჭაობიან და საეჭვო ადგილებიდან აღებული წყლის აღულების გარეშე სასმელად გამოყენებას, განსაკუთრებით უნდა მოერიდოს ისეთ ადგილებს, სადაც პირუტყვი ძოვს. საკვებად არ უნდა მიიღოს ისეთი მწვანილი ან ბოსტნეული, რომელიც დამდგარი წყლით ირეცხება ან ირწყვება. მწვანილი გულდასმით უნდა გაირეცხოს გამდინარე წყლით ან/და უნდა დამუშავდეს თერმულად {27,31,48,51, 54, 56, 64,67}.

მნიშვნელოვანია წყალსატევების დაცვა ფეკალური დაბინძურებისაგან, სასოფლო სამეურნეო პირუტყვის და ადამიანის გეგმიური დეჰელმინთიზაცია. უნდა გვახსოვდეს მდგარი ან ნაწილობრივ გამდინარე წყალი სასმელად არ გამოიყენება. {27,31,48,51,54,56,64,67}

იმუნოპროფილაქტიკური ღონისძიებები დღეისათვის არ არის შემუშავებული. {27,31,48,51,54,56,64,67.}



**Khatuna Melia
Nora (Irma) Kokaia
Marina Manjgaladze**

Fascioliasis

Editor: **Elene Pachkoria
MD, PHD**

Reviewers **Nino Iashvili
MD.MPH.**

Introduction

Fascioliasis – human and animal helminthiasis is one of the most widespread zoonosis in the world. Fascioliasis is caused by trematodes: *F.hepatica*, *F.gigantica* and *F. buski* causing the disease in animals and humans.

